



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

აპრილი
(ნისანი)
№4 (464)
(5780)
2020

”מנורה”

עיתון יהודי

בגוריה



ფესახის დღესასწაულს ვულოცავ ჩვენს მეგობარ ებრაელ ერს!

ეს დღე ისრაელის ხალხისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რამეთუ იგი საუკუნეებია, იქცა თავისუფლების, გამძლეობის, რწმენის სიმტკიცის სიმბოლოდ.

ქართველები ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს მეგობრობას ხანგრძლივი და შეუზღალავი წარსული აქვს. საქართველოს ისტორიაში არ არსებობს ანტისემიტიზმის არც ერთი მაგალითი. მრავალი საუკუნეა, ქართულ მიწაზე ერთმანეთის გვერდით დგას მართლმადიდებლური ტაძარი და სინაგოგა.

ამ მეგობრობის დაგვირგვინებაა ის, რომ ჩვენი უნიკალური ურთიერთობის ტრადიციას დღეს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს.

ახლა, როცა მთელი მსოფლიო, ახალი ვირუსული დაავადების სახით, უდიდეს გამოწვევას ებრძვის, ჩვენ ეს განსაცდელი კიდევ უფრო გვაერთიანებს და გვაახლოებს. დარწმუნებული ვარ, რომ ებრაელი ერი ჩვეული სიბრძნით, მოთმინებითა და თავდაუზოგავი ბრძოლით დაძლევა ამ გამონვევასაც. მჯერა, რომ ყველა ერთად გავიმარჯვებთ ამ ბრძოლაში!

ჩემი და ქართველი ხალხის სახელით მშვიდობას, სულიერ სიმშვიდესა და დიდ წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს ებრაელ მეგობრებს!

საქართველოს პრეზიდენტი
სალომე ზურაბიშვილი



გილოცავთ ჩვენი ხალხის უდიდესი დღესასწაულის, ფესახის შემობრძანებას!

ეს დღე ჩვენი ერის რწმენის სიმტკიცის სიმბოლოა და მთელს კაცობრიობას თავისუფლების სიყვარულისა და ერთგულების მაგალითს უჩვენებს.

ფესახი ჩვენი ფიზიკური და სულიერი გადარჩენის ზეიმია.

ვულოცავ მთელ ებრაელ ხალხს და მათთან ერთად საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს, ამ დიდ დღესასწაულს, რომლის მნიშვნელობის შესახებ ჩვენ ყოველთვის მოვუყვებით ჩვენს შვილებს, ხოლო ისინი - თავიანთ შვილებს.

კიდევ ერთხელ, მოგილოცავთ ფესახს და გისურვებთ თავისუფლებას, სიმშვიდეს და კეთილდღეობას!

ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი
ელჩი საქართველოში
რან გიღორი



ფართონის მონობიდან ებრაელთა გათავისუფლების
დედ დღესასწაულის – ფესახის მოგილოცავთ.
ძრავალს დაესწარით!

ისრაელის მთავარი რაბანუთის დადგენილება

ისრაელის მთავარმა რაბანუთმა რელიგიურ ისრაელელთა სახელმძღვანელოდ გამოსცა დადგენილება მთელი პაკეტი, რომელიც მათ დაეხმარება კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლაში:

დადგენილების შესავალში ნათქვამია: ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ გამოცემული განკარგულებანი, რომელიც კორონავირუსთან გამკლავებას ისახავს მიზნად, ჰალახის მიხედვითაც სავალდებულოა შესასრულებლად. ადამიანი უნდა გაფრთხილდეს, რომ სხვასაც არ მიაყენოს ზიანი, იმისთვისაც უნდა იყოს ფრთხილად, რომ თავად მას არ მიადგეს ზიანი.

ბეით ქნესეთები:

ბეით ქნესეთის გაბაიმ კარგად უნდა გაანიაყოს სალოცავი დარბაზი, თვალყური ადევნოს, რომ მაქსიმალურად შესრულდეს ჰიგიენის წესები —

ხშირად უზრუნველყოს ნაგებობის დეზინფექცია. სალოცავადნ შუკრებილთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 100 ადამიანს. თუ ლოცვისათვის 100-ზე მეტმა ადამიანმა მოიყარა თავი, ისინი უნდა განთავსდნენ სხვა დარბაზში. თვითუფლ ჯგუფში მლოცველთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ას ადამიანს*.

იმ ბეით ქნესეთებში, რომლებშიც ას ადამიანთა თავშეყრის შემთხვევაშიც სივინროვეა, მლოცველნი უნდა დაიყონ ცალკეულ ჯგუფებად.

ადამიანები, რომლებიც კარანტინში იმყოფებიან, აგრეთვე ის ადამიანები, რომლებთან სიახლოვეც დაკავშირებულია დაავადების რისკთან, უნდა ლოცულობდნენ სახლში, სასურველია, რომ მათი ლოცვის დრო დაემთხვეს ბეით ქნესეთში ლოცვის დროს.

* (ამ დადგენილების გამოცემის შემდეგ, ისრაელის ბეით ქნესეთები სულაც დაიხურა. ადამიანები სალოცავად თავთავიანთ ეზოებში იკრიბებიან. რედ).

თორის გაკვეთილები:

თორის სწავლების გაკვეთილები არ უნდა შეწყდეს და გაგრძელდეს იმ პირობით, თუ იგი მიმდინარეობს ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ პირობებში.

იეშივები და ქოლელები: მიმდინარე პირობებში, ახალ გარემოებათა

გამოვლენამდე, სწავლა მიმდინარეობს ჩვეულ რეჟიმში, მანამ სანამ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ახალ მითითებებს გასცემს.

მ ი კ ვ ე:

ქალებს, რომლებიც კარანტინში იმყოფებიან, ეკრძალებათ მიკვები მისვლა.

ქორნილები: დანიშნული ქორნილი ჩატარდეს. ქორნილის გადადებას სჯობს იგი გაიმართოს სტუმართა შეზღუდული რაოდენობით.

ავადმყოფთა მონახულება:

ავადმყოფის მონახულება კარგია, მაგრამ ამჯერად თავის შეკავება სჯობს, ასევე უმჯობესია თავი შევიკავოთ მამათა (მოხუცთა) სახლში ხანდაზმულთა მონახულებისაგან. სჯობს, ეძებოთ მარტოდ დარჩენილთა დახმარების გზები.

რაბანუთის განკარგულებაში ასევე ნათქვამია, რომ აშკენაზ ებრაელთა მთავარმა რაბინმა ებრაელებს უკვე მოუწოდა, რომ კონორავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით უმჯობესია, თავი შევიკავოთ მეზუზის კოცნისაგან: „არა-რა აუცილებლობა არ არის მეზუზის კოცნისა, ან მასზე შეხებისა. საკმარისია, რომ ის კეთილგონივრული შეგონებანი, რაც ყოველ მეზუზაში წერია, მუდამ გვახსოვდეს და ვ ასრულებდეთ.“

მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინის იაკობ გაგულაშვილის მიმართვა ქართველ ებრაელთა თემებს

უპირველესად, ყოველ თქვენგანს კარგად ყოფნას - სულიერ და ფიზიკურ სიმტკიცეს ვუსურვებ. ვლოცულობ, რათა გამჩენმა უმოკლეს დროში მოგვმადლოს მშვიდობა და ჯანმრთელობა!

დებო და ძმებო, აქამდე ჩემი გზავნილები თორის კანონების, ჩვენი ადათ-წესების განმტკიცებისა და სწორეზოვარი შესრულების იდეას ემსახურებოდა. დღევანდელი მიმართვა კი განსხვავებულია, რადგან მსოფლიო სრულიად სხვა რეალობის წინაშე დავდგა, სხვა რეალობა დაგვიდგა ჩვენც - ებრაელებს. ამ რეალობას დღეს კორონავირუსი ქვია. მთელი დედამიწა სწორედ მის გამო მოიცვა მღელვარებამ და შიშმა, სწორედ მის გამო არ წყდება სატელეფონო ზარები ათასგვარი შეკითხვით.

ძმებო, მოგმართავთ ყველას - გაუფრთხილდით თქვენი და თ ქვენი ოჯახის წევრების ჯანმრთელობას. დაიცავით სპეციალისტების რეკომენდაციები. არ ავიწი იფიქროს ეს სენი მე ვერ მომწვდებაო! ჩვენი წმინდა თორა (დებარამ) გვაფრთხილებს: „ძალიან გაუფრთხილდით თქვენს სულს!“. ჩვენ ვლ ოცულობთ ყველ ა დაავადებულის გამო-საჯანმრთელებად.

შეისმინოს ღმერთმა ჩვენი ლოცვა! დღეს მთელი მსოფლიო დაეძებს ამ ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინას - ვირუსისა, რომელსაც ჯერ არ იცნობს თანამედროვე მეცნიერება, არ იცის, როგორია მისი მოქმედების ახლო და შორეული შედეგები. გამადიდებელი შუშით და გადიდებული თვალებით ვაკვირდებით, რა სტატისტიკას დადებენ ხვალ ექიმები, გადაარჩენს თუ არა მედიცინა კიდევ ერთ სიცოცხლეს. ყველა მორწმუნე გამჩენს ეპიდემიის ჩაქრობას შესთხოვს.

ჩვენ, ებრაელები - ღმერთის რჩეული შვილები, ვკითხულობთ თეილიმს, თორისა და კაბალის სიბრძნეში ვეძებთ პასუხებს, რომლითაც წინ უნდა აღვუდგეთ ამ თვალთ უხილავ მტერს-ვირუსს.

დღეს კი აი, რა სურათია: 1. მსოფლიო ეკონომიკა კოლაფსშია, ჩინეთის სწრაფად აღმავალი ეკონომიკა ნადგურდება, ევროპა ვერ პოულობს სასიცოცხლოდ აუცილებელ პასუხებს მთელ რიგ აქტუალურ კითხვებზე, ამერიკის სავალუტო ბირჟები კარგავენ მილიარდობით დოლარს, ასევეა თელ-ავივში: მეც-

ნიერები, რომლებიც სხვა პლანეტების დ აპყრობას ცდილობდნენ, უსუსურად და უძალოდ დგანან. აკი გვეუბნება გამჩენი: „ცა ღმერთისაა, დედამიწა კი თქვენია, ადამის ძენო, ნუ ეცდებით ჩემთან ჯიბრს.“

2. თალმუდი გვასწავლის: ყველა ებრაელმა რომ ერთად შეინახოს თუნდაც ორი შაბათი, მაშინაი მობრძანდებოც!

3. ეპიდემიის დასაწყისშივე მთელი სიმკაცრით გამოცხადდა პირადი ჰიგიენის წესების დაცვა. განა, ეს ჩვენთვის უცხოა? ჩვენ ხომ ვალდებულნი ვართ დილით უზომზე სპეციალური ჭურჭლით განვიბანოთ ხელები - სამჯერ მარჯვენა და სამჯერ მარცხენა. საპირფარეოდან გამოსვლის შემდეგ, თუ ყოველი ჭამის წინ, ვალდებულნი ვართ სუფთად დავიქნათ ფრჩხილები, არ შევებოთ ტანის დაფარულ ნაწილებს და თუ შემთხვევით შევებოთ, ხელი უნდა დავიბანოთ.

4. ჯანდაცვის სამინისტროს მითითებაა 2 მეტრის დისტანციის დაცვა - ადამიანები უნდა განემორჩონ ერთმანეთს სულ ცოტა ამ მანძილით. ტრანსპორტსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში რამდენჯერ შევსწრებვართ ბოლო დროს მოხშირებულ ღმერთისთვის საძულველ - ერთი სქესის ადამიანთა უხერხულ სიახლოვეს. ალბათ, თვალთაც აგვირიდებია. ერთსქესიანი ქორწინების ცოდვით დაცემასაც აქვე მოვიხსენიებ. ღმერთის დანესებულ არ გავიგეთ? ახლა კანონმა დაამოწმო ადამიანები კიდევ უფრო მეტად.

და მაინც აღსრულდება მისი ნება;

5. ვირუსის სახელი „კორონა“ ივრითულად ითარგმნება „ქეთერი“ და „რემაყიმ“ (ბოროტი ადამიანი) ერთნაირად იშიფრება - 620.

როგორც ცნობილია, თორის მიხედვით, 613 მიცვა გვევალება, 7 კი - ხანმების მიერ გახლავთ დანესებული (ხანუქა, მეგილათ ესთერი და სხვ.) - ჯამში 620! აქედან გამომდინარე, მხოლოდ მიცვების განუხრელი შესრულებაა გამოსავალი, რათა გაბათილდეს ის ბოროტი და უკეთური, რომელმაც გვირგვინი შებლალა. უნდა ვეცადოთ მაქსიმალურად

შევასრულოთ მიცვები, რომლებიც ჩვენი ვალია და რომელსაც გამჩენი ჩვენგან მოეღის;

აქვე ავღნიშნავ, რომ თეილიმის (ფსალმუნების) ნაკითხვა ანეიტრალურ რეაქციას უკეთური, ბოროტი ადამიანის მავნე ზემოქმედებას;

6. თორა ბრძანებს: „არ ჭამო ცოცხალი ხორცი!“ განვმარტავ - „ჭამა ცოცხალი ხორცი“ ივრითულად ჰემატრიით იშიფრება, როგორც - „367“, ზუსტად ისევე, როგორც კორონა (367). გამოდის, რომ უფალი მიგვითითებს ხორცი კვების წესის დარღვევაზე, არაქაშერზე, მის მიერ აკრძალულზე და ბრძანებს: რაც მე ავკრძალე, თქვენს თავს იმის ნება როგორ მიეცით?

ყურადსაღებია კიდევ ერთი გარემოება; საზღვარგარეთ ყოფნისას, ებრაელები ხშირად ვარღვევთ ქაშერი საკვების და სასმელის მიღების წესს.

7. თუმცა, ჩვენს რეალობაში „კაცის ცოცხლად შეჭმაც“ გვინახავს: ხშირად დაუმსახურებლად ვასამართლებთ და განვსჯით მართალ ადამიანს. განვიკითხავთ და მზად ვართ ჩვენი საქციელით შუაზე გავგლიჯოთ. აბა, რა ვუნდოთ ფაქტს, როდესაც ადამიანს სასამართლოს გარეშე ადანამაშულებენ და განაჩენიც თავადვე გამოაქვთ?

8. მიხდა გაუნყოთ, რომ 16.03.2020 აშლოდში ჩავატარეთ ლოცვა კორონას ეპიდემიის აღსაკვეთად, ხოლო 18.03.2020 იმისთვის ვილოცეთ, რომ მთელი მსოფლიო განიკურნოს ამ ეპიდემიისაგან.

დაე, გვისმინოს ღმერთმა! 9. გაამრავლეთ ცედაკა, ვინაიდან თორის ბრძანებით, „ცედაკა ადამიანს სიკვდილისაგან იხსნის“

10. გაფრთხილდით ზედმეტი თავყრილობისაგან!

ამ ბოლო ხანს მსოფლიოში განვითარებული მოვლენები თვალნათლივ მიგვანიშნებენ მაშინაის მობრძანების მოახლოვებაზე. თვალთაც ვადავავლობთ და გავიხსენოთ უახლოესი წარსული: 2011 წელს იაპონიაში მოხდა 9.1 ბალიანი მიწისძვრა და ცუნამი, რომელსაც შეენირა 18000 ადამიანი, მილიონობით კი უსახლკაროდ დარჩა; 2013 წელი - სინაის ნახევარკუნძულზე კალიების შემოსევა, იგივე ხდება დღესაც — აფრიკის კონტინენტზე გიგანტურმა კალიებმა დიდი მოსავალი გაანადგურეს და ახლა ეს ტალღა ჩვენს კონტინენტს ემუქრება; 2013 წელი, 12 თებერვა-



ლი- უცნაურად განითვლებული ზეცა, რომელსაც ცნობილი მეცნიერები, გაოცებული აკვირდებოდნენ.

ამერიკას არაერთხელ დაატყდა თავს საშინელი, გამანადგურებელი ტორნადო; ბოლო დროს ნალექის უჩვეულო სიუხვე და სიმრავლეა ისრაელში, ასეთი წვიმები ჩვენთან ნამდვილად არაა ჩვეულებრივი მოვლენა; ახლო აღმოსავლეთში დიდი და დაჩქარებული ცვლილებები მოხდა: საერთაშორისო გლობალურმა პოლიტიკამ დღის წესრიგში დააყენა ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის აღიარების პროცესი - ამას ადასტურებს პრეზიდენტ ტრამპის მიერ იერუსალიმში საელჩოს გადატანა, რაც ფაქტობრივად იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარების ტოლფასია, აგრეთვე გოლანის მალეობების ისრაელის ტერიტორიად ცნობა და ბევრი სხვ.

ნუთუმსოფლიო შეიშალა, თუ სრულიად სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე?!

დაიხ, ჩვენს თვალწინ ხდება უზენაესი ღმერთის ძალის გამოვლინება და გვიახლოვდება ჟამი მაშინაის მობრძანებისა. ჩვენი დიდი რაბების გამონათქვამები ამ მოვლენებზე მიგვანიშნებენ და ჩვენც მზად უნდა შევხვდეთ დღევანდელ, რომლებსაც ამდენი ხანია ველით - დროს, რომელიც ჩვენივე ლოცვით გამოვითხოვეთ გამჩენისაგან.

გისურვებთ მომავალ ქაშერ და ბედნიერ ფესახს, ამ ეპიდემიის მალე გადავლას და განქარავებას. ვლოცულობ ყველა ავადმყოფების რეფუა შლემაზე.

მადლობა გამჩენს!!

„კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე გადმოინდების“

ოროდე წლის წინათ, ისრაელში გამოვიდა ლამაზად გაფორმებული ბუკლეტი, რომელიც მოქმედებდა მეტად პატივცემული და ცნობილ პიროვნების, დოქტორ გერმონ ბენ-ორენის (წინუაშვილი) 80 წლის იუბილს. გადავხედე რა ამ წერილებს, საკმარისი იქნებოდა სულ რამდენიმე ამონარიდი მშვენიერი საგაზეთო სტატიისათვის. შესავლისათვის ჩემი მიმართვიდან პატარა ნაწყვეტს გამოვიყენებ: „ბატ. გერმონ, თქვენ თემის ტკივილით დაგულთა თანავარსკვლავედს ეკუთვნით, თქვენი იშვიათი პიროვნული თვისებებითა და ფასდაუდებელი შემოქმედებით, თქვენი ცხოვრების წესითა და შინაარსიანი ნაშრომებით, მართალი სიტყვით ანათებთ თქვენ სავალ გზასა და სხვებსაც უნათებთ.“ გერმონ წინუაშვილმა ვერცხლის მედალზე დაამთავრა ცხინვალის საშუალო სკოლა. იგი ამბობს, რომ სიცოცხლის ბოლო წუთამდე გაჰყვება ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ოლია კასრადის სიყვარული. ებრაული ენის საფუძვლებს დაეუფლა ჯერ ხახამ აპარონ პატარაკაციშვილთან, შემდეგ ხახამ ისრაელ ბაბალაკაშვილთან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში რელიგიის ფილოსოფიის კვლევის სფეროში. მისი გამოკვლევები იბეჭდებოდა აკადემიის ჟურნალში „მაცნე“. ლიტერატურულ ნაწარმოებებს კი აქვეყნებდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. ბატონი გერმონი იყო ახალგაზრდული იატაკემა სიონისტური ორგანიზაციის ერთი აქტივისტი.

ლია კრიხელი: ბატონო გერმონ, თქვენ გიცნობენ, როგორც დიდ ებრაელსა და სიონისტს. რამ განაპირობა ყოველივე ეს?

გერმონ წინუაშვილი: დიდი მადლობა ამგვარი შეფასებისთვის. ადამიანი არ იბადება არც სიონისტად, არც კომუნისტად და არც მენშევიკად. იდეოლოგია აღზრდის შედეგია. ისიც შეიძლება, რომ ერთსა და იმავე ოჯახში, სხვადასხვა მიდრეკილების ადამიანები დაიბადონ. სამ დამაძი შვილებს ერთი ინჟინერი გამოვიდეს, მეორე მფრინავი და მესამე — მუსიკოსი. როცა ბავშვი დილა-სალამოს მამასთან ერთად სალოცავად დიდის, არ შეიძლება ამავე გავლენა არ მოახდინოს მის მომავალ მსოფმხედველობაზე. ყოველივე ნელ-ნელა ილექება მის გულში, იქარგება თავისი ხალხის წერსული, თანამედროვეობა და მომავალი. სტუდენტობის პერიოდში, 1960 წელს, ცნობილმა მწერალმა და ჟურნალისტმა, აბრამ მამისთვალთაძემ მიმინვია სამ სხვა ახალგაზრდასთან ერთად ებრაული ენის თვითმასწავლებლის შექმნის თაობაზე სასაუბროდ. აბრამმა მითხრა: „ებრაული ენა შენ ყველაზე კარგად იცი, ვის ვიპოვით შენზე უკეთესს, რომ წიგნი დაგვიწეროს? ფულს ჩვენ დავდებთ“, თქვენ ბიჭებმა. გადაწყდა: წიგნი შეუნდა შემედგინა. მაშინ ერთი სიტყვაც არ თქმულა სიონიზმზე, ან ისრაელში რეპატრაციისაზე. ამ საქმეში გვერდში ამოვიყენე ჩემი ბიძაშვილი, შალვა წინუაშვილი. სახელმძღვანელოს ქართულ ტექსტს მანქანაზე ბეჭდავდა პედინსტიტუტის სტუდენტი, რიმა იაკობაშვილი — ჩემი მომავალი მეუღლე. ებრაულ ტექსტს კი ჩემი მაშინდელი მოსწავლე, მიხაელ წინუაშვილი — სპორტის ოსტატი შტანგის აზიდვამი. ნელ-ნელა იზრდებოდა ჩვენი ჯგუფი, ყველას თავისი ფუნქცია ჰქონდა. ვგრძობდით, რომ წიგნის შედგენით ვერ დაკმაყოფილდებოდით. სურამელი ამხანაგის, მიხაელ მანაშეროვის დახმარებით გავიცანით თანამზრახველები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, რიგიდან, სვერდლოვსკიდან, რომელთაც დიდი მიზნების განხორციელება სურდათ. ყოველივე ამის შესახებ დანერვილებით იქნება მოთხრობილი ჩემ მომავალ წიგნში „სიონიზმი საქართველოში“.

ლ. კ. ვინც კი თქვენს ოჯახს იცნობს, იცის, რომ ქალბატონი რიმა არა მხოლოდ თქვენი მეუღლეა, არამედ მეგობარი, ცხოვრების მეგზური და თანამდგომი. რას მეტყობთ ამის შესახებ?

გ. ნ. რაც კი გავაკეთე საბჭოთა კავშირში, ებრაულ იატაკემა ორგანიზაციაში, ყველაფერს რიმა იაკობაშვილის უშუალო დახმარებით ვაკეთებდი. როდესაც ზემოხსენებული წიგნი გამოვიცი, არ ვიყავით შეუღლებულნი. მაშინ მხოლოდ ვამხანაგობდით. იმ წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და უმაღლეს სწავლებელში



შესასვლელად ემზადებოდა. იგი წიგნის დაბეჭდვის გარდა, მის გავრცელებასაც დაგვეხმარა. ორივემ ვიგრძენით, რომ ჩვენი სულის სიმები ერთ ჰანგზე იყო აწყობილი. პოეტური ნიჭი გამოამჟღავნა ებრაულ თემაზე ლექსებისა და ჩანახატების წერით. ქორწინების შემდეგ, ჩვენ შექმენით ნამდვილი ებრაული ოჯახი და ვზრდიდით ბავშვებს სრულიად ებრაული სულისკვთებით. მახსოვს, ერთი ჩემი ამხანაგის ნათქვამი: „გერმონ, შენი ბინა ნაგავს ებრაულ სალოცავს რამდენიმე თვალსაზრისით. და თუ ეს ასეა, ამაში რიმა მითქვამის ლომის წილი“.

ლ. კ. ისრაელში თქვენი ამოსვლა — როგორი აბსორბცია გქონდათ?

გ. ნ. ისრაელში ამოვედი ოჯახთან ერთად 1972 წელს. ვმუშაობდი იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტთან არსებულ ბენ ცვის სახ. ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. აქ ტარდება კვლევა-ძიება აღმოსავლეთის ქვეყნების ებრაელთა ისტორიისა და კულტურის საკითხებზე. იმ პერიოდში გამოვაქვეყნე ბევრი სამეცნიერო ნაშრომი საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებზე. ეს შრომები იბეჭდებოდა ბენ ცვის ინსტიტუტის ჟურნალში „ფეაშიმ“, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის კრებულში „მასოროთ“ და ხაიფის უნივერსიტეტის კრებულში „მიკედემ უშიამ“. აგრეთვე განათლების სამინისტროს გამოცემაში. ერთ-ერთი შრომა საქართველოს აკადემიამ გამოსცა ცალკე წიგნად. 1987-1991 წლებში ვმუშაობდი თელ-ავივის დიასპორის მუზეუმში — „ბეთ ჰათფუცოთ“, მეცნიერ-კონსულტანტის თანამდებობაზე გამოფენის მოსამზადებლად, რომელიც საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და კულტურის საკითხებს მიეძღვნა. იმავდროულად შეიქმნა შესანიშნავად ილუსტრირებული წიგნი „ოქროს საწმისის ქვეყანაში“, რომლის სამეცნიერო მრჩეველიც გახლდით. შემდგომ ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით, ბენ ცვის ინსტიტუტში მოეწყო პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და კულტურის, საქართველო-პალესტინისა და ქართულ-ებრაული ურთიერთობათა შესახებ. სიმპოზიუმში მონაწილეობდნენ საქართველოსა და ისრაელის გამოჩენილი მეცნიერები. ნაკითხულ იქნა 23 მოხსენება. გარდა ამისა, მონაწილეობა მივიღე 13 სხვადასხვა კონფერენციაში, როგორც ისრაელში, ისე საზღვარგარეთ. ჩემი მოხსენებები ყოველთვის საქართველოს ებრაელობას ეხებოდა. 70-იან წლებში ჩემი თაოსნობით ისრაელის განათლების სამინისტრომ საქართველოდან ამოსული მონაფეებისთვის შემოიღო სიმნიფის ატესტაციისთვის გამოცდების ჩაბარება ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ამან, ერთი მხრივ გაუ-

ადვილა მათ ატესტაციის მიღება და მეორე მხრივ ცხადი გახდა ის, რომ ისრაელში ქართული ენა და ლიტერატურა ცნობილ კომპონენტად იქცა. აღნიშნული სამინისტროს დავალებით, ვადგენდი საგამოცდო კითხვარს და ზოგჯერ გამოცდების მიღებასაც მავალბდნენ. ასე რომ, ფაქტურად განათლების სამინისტროს ინსპექტორის ფუნქციას ვასრულებდი. ორი თვის ამოსულმა დავაარსე ქართული ჟურნალი „ისრაელი“, რომლის პირველი რედაქტორი იყო დანიელ შალელაშვილი, შემდეგ კი — აბრამ მამისთვალთაძე. 1973 წელს ვიყავი საქართველოდან გამოსულთა გაერთიანების ბიულეტენის „სინათლის“ რედაქტორი. უფრო მოგვიანებით კი, გახლდით კერძო გაზეთის — „მამული“ რედაქტორი (1988 წ.), რომლის გამომცემელი მიხეილ შიმშილაშვილი იყო. იმავდროულად აქტიურად ვთანამშრომლობდი გაზეთების: „იმედი“, „ნერგი“, „სამშობლო“ და ჟურნალ „დროშის“ რედაქციებთან. პარალელურად ვმუშაობდი ებრაული და არაბული ენების მასწავლებლად ისრაელის სკოლებსა და იემივებში.

1980 წ. დისერტაციის მომზადებაში, საქართველოდან ამოსულთა თემაზე, დავეხმარე ერთ ამერიკელ სტუდენტ ქალს, ვენდი ორენტ გუდმანს, რომელიც ამჟამად ჯორჯიას შტატის უნივერსიტეტის პროფესორი გახლავთ. საგარეო და განათლების სამინისტროების მივლინებით, 1994-1995 წლებში ივრითს ვასწავლიდი მოსკოვის ებრაულ უნივერსიტეტსა და ებრაულ სკოლაში. ამავე წელს იერუსალიმის უნივერსიტეტში მივიღე ენათმეცნიერების სფეროში დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ჩემი სადისერტაციო თემა იყო „საქართველოს ებრაელთა მეტყველების სპეციფიკური თავისებურებანი“. ვენედი მთარგმნელობით მუშაობასაც. გამომცემლობა „ამანას“ ჩარჩოებში ვთარგმნე და გამოვეცი „ფესახის აგადა“ და რამდენიმე სხვა წიგნი ებრაული სარწმუნოების საკითხებზე. გამომცემლობაში „შუქურა“, ვიყავი რამდენიმე წიგნის მთარგმნელი, რედაქტორი, კორექტორი. თორის ხუთნიგულის ქართულ ენაზე თარგ-მნისათვის, აბრამ მამისთვალთაძემ და თამარ კეზერაშვილთან ერთად, 1994 წ. მომენიჭა ივანე მაჩაბელის სახელობის პრემია. სიონისტური იდეების განხორციელებისათვის ბრძოლაში შეტანილი წვლილისათვის, დაჯილდოებული ვარ მსოფლიო სიონისტური ორგანიზაციის საპატიო სიგელით.

ლ. კ. თქვენი ამოსვლის შემდეგ ქვეყანა საგრძობად შეიცვალა. უდაბნო ნალკოტად იქცა და მსოფლიოში ერთ-ერთი მონინავი სახელმწიფოა ტექნოლოგიური წინსვლაზე, თუ სხვა მიღწევებით. ამ პროცესმა იქონია თუ არა ზეგავლენა ადამიანებზე — მოჰყვა თუ არა ადამიანების შეცვლა?

გ. ნ. ტექნოლოგიური ცვლილება მსოფლიოში ძალიან ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, ცხოვრების



თანამებრძოლთან და მეუღლესთან — რიმა იაკობაშვილთან ერთად.

წუთისოფელს კაცად შერჩენილი პოეტი — 100

იმ დღიდან ზუსტად 50 წელი გავიდა: სტამბოლის სასტუმრო „კენედიში“ საუზმეზე ვსხედვართ. თუ არ ვცდები, ფრიდონ ხალვაშმა ჩაილაპარაკა: „დღეს იოსების დაბადების დღეა“. „აბა, იოსები?“ სასხვათაშორისოდ იკითხა ნოდარ დუმბაძემ და ჭიქა ალუბლის წვნით შეივსო. „ნონეშვილის“ მიუგო ფრიდონმა და ალუბლის წვნით იმანაც შეივსო ჭიქა.

— თბილისში რომ ვიყოთ, კარგი კახური პურ-მარილი არ აგვცდებოდა — იოსები არ დაიზარებდა, მაგრამ აქ... — ღიმილით თქვა არჩილ სულაკაურმა. ალექსი გომიაშვილისაგან „ოჰ“ გავიგონეთ. ვერ ვიტყვი ეს „ოჰ“ რას ნიშნავდა — იზიარებდა არჩილის ნათქვამს, თუ — არა.

ამასობაში მედია და იოსებ ნონეშვილებიც გამოჩნდნენ, აუჩქარებლად მოდიან, იოსებს განუყრელი ღიმილი დასთამაშებს სახეზე, მედია ჩაფიქრებულსა ჰგავს — ალბათ, თუ არჩევს, სად დასხდნენ სასაუზმოდ — ჩვენს გრძელ მაგიდას შემოუერთდნენ, თუ, სხვა მაგიდას მიუსხდნენ.

— აქეთ მოით, იოსებ ძამია, აგერ გვაქვს შენახული შენთვის შერსაფერისი ადგილი! — ეძახის ნოდარი იოსებს.

იოსები მზერაგაბრწყინებული და თავის დაკვრით მოდის, ისეთივე ღიმილით, როგორც საერთოდ ჩვევია, მედია და იოსებ ნონეშვილები დასხდნენ თუ არა, ნოდარ დუმბაძემ ალუბლის წვნით შევსებული ჭიქა ღიმილით ასწია და თქვა:

— ა, ძამია, იოსებ, ეს ადესა ოს-მალეთში იმისთვის ნამოვიდე, დაბადების დღე, რომ მომელოცა — მერე ჩვენ მოგვიბრუნდა — იოსებ ნონეშვილს დაბადების დღე მიულოცო!

ბ-ნი იოსებისათვის ეს მოლოცვა ერთობ მოულოდნელი გახლდათ, მზერა გაუბრწყინდა, ჭიქას ნაავლო ხელი, ვიღაცამ ისევ ალუბლის წვნით შეივსო. როგორც გულნათელ კაცს სჩვევია, მადლიერებითა და სიხარულით შეეგება კოლეგების სადღეგრძელოს.

საუზმე საყველპურო საუბრით, გუშინ შეხვედრილი გურჯებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებებზე მუსაიფით გაგრძელდა და მალე დამთავრდა კიდეც. მე კი ის მიტრიალებდა თავში ჩემი პირველი ხელმძღვანელისათვის როგორ, რით მიმელოცნა დაბადების დღე — სწორედ მისი, იოსებ ნონეშვილის, ხელმძღვანელობით დავიწყებული სამსახური — გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში მიმიღო — კრიტიკის განყოფილების ლიტერატურული მუშაკი გავხდი. ისეთი დრო იდგა (1967წ.), რედაქციებში სამსახურის დაწყება ძლიერ ჭირდა. ამაოდ დავეძებდი სამსახურს. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგითი მუშაკი, ალბათ, ვერას გახდებოდა, განყოფილების გამგე მაინც უნდა დაგხმარებოდა. მე კი არავინ არ მფარველობდა — მამა-ჩემი ერთი ჩვეულებრივი ებრაელი მუშაკი იყო — პარტიის ცეკასთან არც კი გავვლო. მას კი, ბ-ნი იოსებს, უფრო „მნათობში“ დაბეჭდილი ჩემი ერთი რეცენზია ნაეკითხა — მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკაში შემომხვდა და რეცენზია მომიწონა. რამდენიმე ხანში რედაქციაშიც მიმ-



ნოდარ დუმბაძე და იოსებ ნონეშვილი

ილო. ძლიერ მენადა ჩემი პირველი ხელმძღვანელის დაბადების დღე რაიმეთი აღმენიშნა — აქ ოსმალეთის იმპერიის გულში, მირთმეული სჩუქარი უფრო დასამახსოვრებელია, ვიდრე თბილისში. სასტუმროდან გავედი. ქუჩა-ქუჩა, შუკ-შუკა დავდივარ, მაგრამ რას გავხდები — თბილისიდან ნამოსვლის წინ 30 მანეთი გადაგვიხურდავს. თუმცაღა, თუმცაღა... ეს 30 მანეთი აქ რალაც

ფულია. აი, ამას ჩემი ჯიბე კიდეც გასწვდება და კიდეც დამრჩება. ასეთი რამ ბატონ იოსებსაც უყვარს — კარგად ჩაცმა-დახურვა სჩვევია, ასეთ კაცზე უთქვამთ, აზიზი ჩამცემელიაო — სხვათაებრ არ დაფართხუნობს (ალბათ, ესეც აღიზიანებდა!) მანუეტის საკინძი ვიყიდე, სასტუმროში შევბრუნდი და ბ-ნი იოსებს ბრჭყვიალა ქალაღში გახვეული საჩუქარი გადავეცი. არ დაახანა — უმალ გახსნა და სიხარულით მზერა ისე გაუფართოვდა, მეუღლეს ისე შესძახა, „მედიკო, ნახე, გურამმა რა მაჩუქა!“ მისი ხმა ახლაც ყურში ჩამესმის. ასეთი შეძახილი ალალ ადამიანებს სჩვევიათ. გულღრძო კაცი ასე ვერ გაიხარებს — არ შეუძლია. იმ გულღრძოთ არც სხვათა ალალი ბუნება მოსწონთ. ალალ, გულმართალ ადამიანებს აქილიკებენ, დასცინიან და საბრალთო არ უწყიან: დავითის ფსალმუნები რაოდენ ადიდებს მართალთ, ან იქნებ, უწყიან კიდეც, მაგრამ ასე უჯობთ.

იოსებ ნონეშვილი სიცოცხლის ბოლომდე მართალ კაცად დარჩა და ამოთქვა:

ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი, ეცადნენ და ვერ გამხადეს ფილი, წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე, ესეც გამირობა დიდი.

და დღეს იოსებ ნონეშვილის 100 წლისთავზე ვამბობ: გულმართლობით მწერლობაში გამორჩეულმა იოსებ ნონეშვილმა, კაცმა და პოეტმა, შესძლო ეს გამირობა — ბევრ მოქილიკე კალმოსანს, პოეტური ოსტატობით ხომ ზეაღებმატა, კაცობით ათასწლი!

გურამ გათიაშვილი

დონემაც აინია, მაგრამ ადამიანების შეცვლა ამ ტემპს ჩამორჩება — წელი ტემპით მიდის. განა ამას არ მოწმობს ისლამური სახელმწიფოს შექმნა? რაა მათი მოქმედების დევიზი? რაც შეიძლება მეტი ადამიანის დახოცვა. ვის ხოცავენ? ყველაზე მეტად თავისივე რწმენის ხალხს და თავისი ქვეყნის მოსახლეობას. ასე, რომ ტექნოლოგიური წინსვლა, ყოველთვის არ იწვევს ადამიანთა მორალის, შეგნებისა და კულტურის ამაღლებას. ამ შემთხვევაში, არც ისრაელია გამონაკლისი: საქართველოში რამდენიმე მეგობარი მყავდა. ზოგ მათგანთან დღემდე ვმეგობრობ, ზოგმა კი ზურგი შემაქცია და მილაღატა კიდეც. იქ როგორღაც ახერხებდნენ შენიღბვას. ქართული ანდაზაა: „თეთრი ზურგი, შავი ზურგი, აბანოში გამოჩნდება.“ ასეთ შემთხვევაში, ისრაელი ნამდვილ აბანოს წარმოადგენს. აქაურმა მკაცრმა ცხოვრებამ, ბევრს ჩამოგლიჯა ნიღაბი.

ლ. კ. რას უფრო ემორჩილებით — გულისთქმას თუ გონების კარნახს?

გ. წ. ხან გულისთქმით ვმოქმედებდი, ხანაც გონების კარნახით, ეს მნიშვნელოვანი თავიბები, ალბათ დაბადებიდან დაწყებდა ადამიანს. საკუთარი თავის მიმართ გამოუსწორებელი „რეციდივისტი“ ვიყავი. ამით ცხოვრებაში თავი არაერთხელ დავიზიანე. ბევრჯერ ვეცადე გამოსწორება, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ლ. კ. მეტად დასანანია, რომ არ ვიცნობ თქვენს ყველა ნაწარმს, თქვენ მიერ გამოქვეყნებულ ნიგნებს. გამოგიტყდებით: რაზეც კი ხელი მიმინვდებოდა, ყველაფერს სიამოვნებით ვკითხულობდი და ვცდილობდი ჩაწვდომოდი ცხოვრების არსის თქვენეულ აღქმას. მაინტერესებს რა სახის ნაწარმოებები გაქვთ გამოქვეყნებული და თუ ყოფილა შემთხვევა, რომ დაგინერიათ, არ მოგწონებიათ და აღარ გქონიათ სურვილი მისი გამოქვეყნებისა. გ. წ. ჩემს მეცნიერულ პრომებზე ზემოთ მოგახსენეთ, რომლებიც გამოქვეყნდა ისრაელში, საქართველოსა და შეერთებულ შტატებში. კიდეც მაქვს რამდენიმე შრომა, რომლებიც გამოქვეყნებულა ელის. რაც შეეხება ლიტერატურულ ნაწარმოებებს, არ მახსოვს, რამდენმა იხილა მზის სინათლე. პირველი ლექსი გამოვაქვეყნე 19 წლის ასაკში. იმავე პერიოდში დავწერე ორი მოთხრობა. ერთი სახელწოდებით „სიკვდილის აპოლოგია“, მეორეს კი ერქვა „საფლავის ქვა“. დღესაც მიკვირს, ოც



იერუსალიმის უნივერსიტეტის ხელმძღვანელმა გერმონ წინუაშვილ-ორენს დოქტორის დიპლომს გადაცემს.

წელს მიულწვევლი ახალგაზრდა რომ სიკვდილის თემაზე წერს. ეს ხომ ის ასაკია, როცა ადამიანი ფრთებს შლის და მსოფლიოს დაპყრობისთვის ემზადება. დღეს ეს ძროლას მგვრის, მაშინ კი, რა მიტრიალებდა თავში, აღარ მახსოვს. ორიოდე მოთხრობა დანაწევრებული მაქვს, ვნახოთ რა გამოვა მათგან. ჩემი პროზაული ნაწარმოებების ნაწილი დაიბეჭდა „საქართველოს ებრაელთა პროზაში“, თარგმანების ზოგი ნიმუში კი „ებრაული სიბრძნის წყაროში“. რამდენიმე ლექსი გამოქვეყნდა „საქართველოს პოეზიის ანთოლოგიაში“.

ლ. კ. ბატონო გერმონ, რას თვლით ბედნიერ წუთებად თქვენს ცხოვრებაში?
გ. წ. ბედნიერი ვიყავი, როცა ტალითი გადაგვა-

ფარეს მე და რიმას და „ქეთუბა“, ანუ საქორწინო აქტი წავგიკითხეს. რაბი ისრაელ ბაბალიკაშვილის სასიამოვნო ხმამ, ქვეყანას ამცნო ჩვენი ბედნიერება. ქ. ბრესტის სადგურიდან ავსტრიის მატარებლით ისრაელში უნდა წამოვსულიყავით. ჩვეულებრივი გასინჯვის შემდეგ, მე ცალკე ჯიბურში გამამომვლეს და ისე გამსინჯეს. მერე შეგვიყვანეს ერთ პატარა დარბაზში და ჩემს ზურგს უკან კარები ჩაირაზა. გაფიხსენოთ, თუ რა წერია თორაში, თავი „შემოთ“, „უკან ფარაონის ჯარი, წინ კი შუაზე გაპოხილი მენამული ზღვა. მომე რაბენუს ხმამ „იარეთ წინ!“ გამოაფხიზლა ხალხი.“ მე და ჩემს მეუღლეს ცალ ხელში ბარგი გვეჭირა და მეორეში — ბავშვი. გვიჭირდა სიარული, მაგრამ ოცნებისაკენ მაინც მივიწვევდით. ბედნიერების უკეთესი წუთები არ არსებობს. 1995 წ. იერუსალიმის უნივერსიტეტის ამფითეატრში გაიმართა სლამო დოქტორის ნოდების მისანიჭებლად. სცენაზე ჩემი გვარის გამოცხადებისას, ნამოვდექი, მარჯვენა ხელი თვალებზე მივიფარე და ამ ბედნიერი წუთისთვის „შმა ისრაელი“ ხმამალა წარმოვთქე.

ლ.კ. „ესე ამბავი“ვიტყოდი და დავასრულე, მაგრამ ჩემი სათქმელი? რაც ხანია ბატონ გერმონს ვიცნობ, ჩემს უფროს მეგობრად მივიჩნევ (ვგონებ, თავადაც მეგობრად მიმიჩნევს). პირმოთნეობას ვერავინ დასწამებს, კვანტის გამოდება არ ძალუძს. მისი კრიტიკა სალი და ობიექტურია, არა ღრძო და დამცინავი. ბატონი გერმონის თანამოკალმეთა და კრიტიკოსების აზრით, მისი თარგმანები დედანთან საიხლოვით გამოირჩევიან. მე კი, მის ლექსში მიპოვია ჩემი აზრი და საფიქრალი.

„მოვძებნი ისე თეთრ სამოსელს, გავიძრობ ძაძას, ხახაში ჩაწერი შავ ლამეს და იმედის ფრთებით მე დავწვევი დიდი ხმების შორეულ ხანძარს, და რომ არ ჩაქრეს, მის ცხელ სხეულს ჩავეხუტები“.

მართალია, ეს ბატონი გერმონის მიერ იცხაკ კაცნელსონის ლექსიდან ნათარგმნი ერთი სტროფია, მაგრამ ხომ ამბობენ, თუ პოეტი არ ხარ, ვერ თარგმნიო და თუ ძარღვებში დაგვიარა, ამ ლექსის ზიარი ხარო.

ლია კრიხელი. ისრაელი, 2020 წ. მარტი.

საქართველოს ებრაელთა სალოცავები



მოშე დანიელი (მოსე დანიელაშვილი)
ინჟინერ-მშენებელი,
მეცნიერებათა დოქტორი,
არიელის უნივერსიტეტის პროფესორი,
ისრაელი

(დასასრული. დასაწყისი იხ. „მ“ №1, 2, 3)

ირანელი ებრაელების - ლახლუხების ლოცვა

ლახლუხა ებრაელების ლოცვის შენობა აშენებულია თუ შექმნილია მათი საზოგადოების მიერ 1922 წელს ავლაბარში, ცენტრალურ მოედანთან, შაჰმეიანის ქუჩასთან მახლობლად, ჩეხოვის ქუჩა №9. იგი ორსართულიანი იყო, კედლები აგურის წყობის, ფართი დაახლოებით 60 კვ. მ. პირველ სართულზე სალოცავი დარბაზი იყო, მეორეზე-საცხოვრებელი სათავსო. შენობა არქიტექტურული სახით არ გამოირჩეოდა, იმ პერიოდის ავლაბრისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი რიგითი შენობა იყო. მლოცველთა რაოდენობა-30-35. იგი, ასე ვთქვათ, ადგილობრივი დანიშნულების, ახლო მოსახლე მრევლისათვის იყო განკუთვნილი. ჯამაათს ემსახურებოდა იეკუთიელ ციციანშვილი, წარმოშობით ქუთაისიელი, დაბ. 1901 წელს. მისი ხსოვნის საპატივცემლოდ უნდა ავლნიშნო, რომ ის 1949 წელს ჩვენს სახლში მობრძანდებოდა და ჩემს უფროს ბიძაშვილ სამსონ (დანიელ) დანიელოვს და მე ერთად, აკრძალულ პირობებში, ხუმარში (თორის ხუთნიგნეული) გაკვეთილებს გვიტარებდა-ჩვენი მელამედი (მას-ნაკვეთელი) იყო (ალბათ, მისი მრევლის წევრების დაინტერესების მიზნით, სამაგალითოდ, რომ მათ შვილებსაც თორა ესწავლათ, მან მე რამოდენიმეჯერ თებზე პატარა სკამზე შემდგარს, შაბათეულად სეფერ თორაში მაფტირი წამაკითხა). როდემდე მოქმედებდა ლოცვა, მონაცემები არა მაქვს, არ გამოვრიცხავ რომ ისიც 1953 წელს დაკეტეს. არა მაქვს მონაცემები აგრეთვე იმის შესახებ, ავლაბარში მნიშვნელოვანი მშენებლობების გამო, შენობა დღეს შემორჩენილია თუ არა.

აშქენაზების ყოფილი ლოცვა ყოფილი კათოლიკების ქუჩაზე

თბილისში მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის აშქენაზების ორი ლოცვა იყო, მათგან ერთი ყოფილი კათოლიკების ქუჩაზე (შემდგომ პირველი მაისის და დღეს აბესაძის სახელობის) მდებარეობს. მისი აშენება 1886-1887 წლებით თარიღდება. ამ შენობის კედლები ქართული აგურის წყობისაა, შენობა მალალი კაპიტალურობისაა. მისი გარე ზომებია 15x21მ, სიმაღლე-10 მ. მჭიდრო მინაშენებში მოქცეულს შემორჩა ერთი საკუთარი ფასადი-შეუღესავი აგურის და გამოკვეთილი რომანული სტილის. ჩემი აზრით ამ ფასადის მხარეს იყო მოწყობილი არონ შაკოდეში, რასაც, მიუხედავად იმისა, რომ სალოცავი დარბაზი მე არ მინახავს (ამ დარბაზში ხშირად ვარ ნამყოფი, როდესაც იქ ბერიას სახელობის კლუბი იყო), ვასკვნი შემდეგი მოსაზრებებით: ა) აღნიშნული ფასადი ორიენტირებულია სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ

ბ) „ახალციხელებისლოცვის“ თუმანიანის ქუჩაზე გამოშვებული სამხრეთის ფასადი, სადაც არონ შაკოდეშია მოწყობილი, პრაქტიკულად თბილისისაშქენაზების ყოფილი ამსინაგოგისფასადის იდენტურია (შედარებისათვის იხ. სურათი 12) ა, ბ). გ) კლუბის დარბაზი ორიენტირებულია ამ კედლისაკენ-ამ კედლის წინ მდებარეობდა სცენა.

აშქენაზების ამ ყოფილი ლოცვის და ახალციხელების ლოცვის შენობის სტილი, აღნაგობა, კაპიტალურობა, ზომები, სკამების განლაგება, მშენებლობის პერიოდის ახლობლობა და რამაც ძირითად ამ დასკვნისკენ მიიბიძგა, აშქენაზების ამ ყოფილი ლოცვის და ახალციხელების ლოცვის შენობის არონ შაკოდეშის ფასადების პრაქტიკულად იდენტურობა, მაძლევს უფლებას დავასკვნა: აშქენაზების ამ ყოფილი, ყოფილი კათოლიკების ქუჩაზე მდებარე ლოცვის და ახალციხელების ლოცვის შენობის არქიტექტორი არის ერთიდაიგივე პიროვნება, მაღალი დონის ევროპული განათლების, კულტურის და სტილის პროფესიონალი არქიტექტორი.

1920-იან წლებში (1922 წ.) აშქენაზებს ეს სალოცავი ჩამოართვეს და ამ შენობაში ბინა დაიდო საქართველოს ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტის კულტურულმა ბაზამ. მისი დამაარსებელი და პირველი დირექტორი იყო მორის დანიელი (შემდგომში სარკინიგზო-საგზაო ინჟინერი, ცნობილი ბიბლიოფილი). აქვე დაარსდა საარველო-ს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა სწავლული ებრაისტი, ლინგვისტი მორდუხ მამისთვალოვი (მამისთვალიშვილი). სექცია 1933 წლიდან გადაკეთდა დამოუკიდებელ მუზეუმად და 1938 (1940?) წელს გადავიდა ივანოვის ქ. №3 (დღეს ანტონ კათალიკოსის ქუჩა). საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ჩამოყალიბდა საქართველოსლარებკომის გამგეობის 1932 წლის 30 ნოემბრის დადგენილებით როგორც საუწყებო ორგანიზაცია — მშრომელ ებრაელთა კულტბაზის ფარგლებში; ოფიციალურად დაარსდა 1933 წლის 23 ნოემბერს — საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებით. ებრაელთა კულტურული ბაზის გაუქმების შემდეგ (1938წ.) ამ შენობაში სხვადასხვა ორგანიზაციები მუშაობდნენ; გადააკეთეს და გამოიყენეს კლუბად (ლ. ბერიას საელობის. იმის გამო რომ ეს შენობა ადრე სალოცავის შენობა იყო, მორწმუნე ებრაელები როგორც წესი, ამ კლუბში არ დადიოდნენ); 1988-90 წლებში ფუნქციონირებდა „მეტეხის თეატრი“. საბჭოთა კავშირის დანგრევისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ებრაელთა საზოგადოებამ განიზრახა ამ შენობის დაბრუნება და იქ ებრაული კულტურული ცენტრის გახსნა. ამ საქმეს თავგამოდებით თაოსნობდა შოთა ბოსტანაშვილი, რომელსაც მხარში უდგა ან განსვენებული იურისტი, პროფ. შალვა ჩიკვჭვილი. დასახანია, რომ მათი თავდადაებული საზოგადოებრივი მცდელობა და იურიდიული ბრძოლა წარუმატებლად დამთავრდა.

აშქენაზების ყოფილი „გუმბათოვანი სალოცავი“

აშქენაზების ყოფილი „გუმბათოვანი სალოცავი“ (ამჟამად, ანტონ კათალიკოსის ქ. 3) აგებულია 1910-იანი წლების შუა ხანებში 1915-1916 წ. წ. აგებული. როგორც ირკვევა, ამ ადგილას ლოცვა ადრეც ყოფილა და იქ ჯარისკაცები ცლოცულობდნენ და ის „სოლდატსკაია სინაგოგას“ სახელით იყო ცნობილი. ლოცვა იმდენად მოძველებულა, რომ ის 1900 წელს დაანგრეს და მის ადგილზე 1903 წელს ახალი ლოცვის მენებლობა დაიწყეს-საძირკველი ჩაყარეს, მაგრამ მშენებლობა 1914 წლამდე არ დაუწყიათ. ადრე ავლნიშნეთ, აშქენაზებს ეს ლოცვა ჩამოერთვათ 1922 წელს. შენობის გარე ზომებია დაახლოებით 16x18 მ, სიმაღლე-21 მ. შენობის კედლები აგურისაა (წითელი რუსული აგურის), შეუღესავი, გადახურვები რკინაბეტონის. გარედან მრავალკუთხა, შიგნით წრიული (3 აფსიდით), რომლის პერიმეტრზე, 8 წყვილ სვეტზე დაფუძნებულია რკინა-ბეტონის გუმბათი, გეგმაში წრიული მოხაზულობის, დიამეტრით 15 მ, სისქით 15-20 სმ. გუმბათს ცენტრალურ ნაწილში განათებისა და განიავებისათვის ზევიდან ეყრდნობა პატარა გუმბათი დიამეტრით 5 მეტრი (სურათი 13). უნდა აღინიშნოს, რომ ამ შენობის გუმბათი მსოფლიოში ერთ-ერთი ადრინდელი პირველთაგანი რკინაბეტონის გუმბათია. 1938 წლიდან ამ შენობაში განთავსდა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. 1951წელს საბჭოთა კავშირში მიმდინარე ანტიებრაული და ანტისიონისტური მოძრაობის ტალღაზე მუზეუმი დაიხურა. 1948 წლამდე მუზეუმს ხელმძღვანელობდა არონ კრიხელი (რომელიც 1948 წელს ისრაელის საე-

ლმნიფოობრობის აღდგენასთან დაკავშირებით ისრაელში გაგზავნილი მისალოცი ტელეგრამის გაგზავნის გამო საბჭოთა კავშირში არსებული-ტრადიციისამებრ ციმბირში გაამწყესეს), ხოლო 1948 წლიდან ილია პაპისმელოვი. 1951 წლიდან შენობაში გარკვეული გადაკეთებების შემდეგ განთავსდა საერთო საცხოვრებელი, ხოლო შემდეგ 1977 წლიდან კულტურის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. 1951 წელს, მუზეუმის გაუქმების შემდეგ, მუზეუმის მასლები განთავსდა საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში, ინსტიტუტსა და საცავში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის წარდგენის საფუძველზე საქართველოს მთავრობის 1992 წლის 30 ნოემბრის №1017 დადგენილებით მუზეუმი აღდგა და მიენიჭა ცნობილი რაბინისა და საზოგადო მოღვაწის დავით ბააზოვის სახელი. მუზეუმი შევიდა საქართველოს კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას დაევალი სამეცნიერო ხელმძღვანელობა (მუზეუმის დირექტორად დაინიშნა ებრაისტი დოქტორი შალვა ნინუაშვილი). მუზეუმის შენობა მწვავე ავარიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. 1998 წელს სამთავრობო ორგანოების დავალებით (რამდენადაც მე ვიცი ედუარდ შევარდნაძის უშუალო მონაწილეობით) საქართველოს მშენებლობის და ურბანიზაციის სამინისტრომ ჩამოაყალიბა ჯგუფი დავით ბააზოვის სახელობის მუზეუმის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევისა და აღდგენა-გაძლიერების პროექტის დასამუშავებლად (ჯგუფში გაერთიანებული ვიყავით ინჟინრები მ.



ბედიანშვილი, კ. ოდიშვილი, თ. მუხაძე, მ. დანიელაშვილი, არქიტექტორის გვარი არმასხოსეს). სამუშაო წარმატებით შევასრულეთ, დაგამუშავეთ სათანადო პროექტიც, მაგრამ იმ პერიოდში საჭირო ფინანსირების უქონლობის გამო ეს პროექტი ვერ განხორციელდა. 2000-2004 წლებში მუზეუმი საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის დაქვემდებარებაშია. უმწვავეს ავარიულ მდგომარეობაში არსებული ისტორიული ნაგებობისა და ეროვნულ-საერთაშორისო მნიშვნელობის სამუზეუმო დაწესებულების გადარჩენისათვის, მუზეუმისა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციის მიმართვის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 25 ივლისის №654 განკარგულებით „დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის აღდგენა-რეკონსტრუქციის ღონისძიებათა შესახებ“, დაისახა მუზეუმის, როგორც ებრაელთა საქართველოში ცხოვრების მრავალ საუკუნოვანი ისტორიის განძთსაცავისა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა შემსწავლელი უნიკალური სამეცნიერო ცენტრის ფუნქციონირებისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებები. დღეს მუზეუმის შენობა წარმატებულად, საფუძვლიანად აღდგენილ-გაძლიერებულ-რეკონსტრუირებულია, სადაც მუზეუმი წარმატებით მოღვაწეობს ახალი შეცვლილი სახელწოდებით: „დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ისტორიის მუზეუმი“ (დირექტორი არქეოლოგი პროფ. გივი ლამბაშიძე). უნდა შევნიშნო, რომ დღეს მიტოვებული ებრაული სალოცავების მუზეუმებად გადაქცევა ნამდვილად მისასალმებელია, სადაც ებრაელთა ლოცვების აღვლენაც იქნება მისაღები.

კორონავირუსით გამოწვეული მდგომარეობის გამო, გაზეთის ბეჭდვა და გავრცელება — ებრაული ორგანიზაციებისა და სავაჭრო ჯიხურების მეოხებით მკითხველამდე მიტანა, შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ „მენორას“ წინამდებარე ნომერი საქართველოსა და სხვა ქვეყნებში, ელექტრონული სახით ვრცელდება.

„SOS“ — საჭიროა დახმარება!

ძვირფასო მეგობრებო, მოგესალმებით!
მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველას გი-სურვით ჯანმრთელობა და მხნეობა ამ, არც თუ მარტივ, ვითარებაში!!!

„ჯონთი“ და „ხესედები“, შესაბამისად სა-განგებო ვითარების მოთხოვნებისა, ვაგრძელებთ მუშაობას. ჩვენი თანამშრომლები, ვისთვისაც ეს შესაძლებელი იყო, გადავიდნენ დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, ვირუსით ინფიცირების და გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, მომს-ვლელთათვის დაიკეტა ებრაული სათემო სახლი თბილისში, ხესედების სივრცეები, მთელი საქა-რთველოს მასშტაბით. მუშაობას განაგრძობს მხოლოდ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრო-გრამები, როგორც არის „სადილები ბინაზე მიტა-ნით“, „შინ მოვლის სამსახური“ და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პროგრამა „SOS“-ი.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება მთელი ქვეყნის მასშტაბით, და გუმინდილიდან საზოგა-დოებრივი ტრანსპორტის მუშაობის შეჩერება. მოგვხსენებთ, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, „შინ მოვლის“ სამსახურის პროგრამაში აღ-რიცხვებზე მყოფ 142 ხანდაზმულზე ყოველდღიურ რეჟიმში ზრუნავს 84 მომვლელი, რომელთა გადაადგილება, გახდა შესაძლებელი მხოლოდ ფეხით, პირადი ავტომობილით ან ტაქსით. მომვ-ლელთა მაქსიმალური გადაჯგუფებების შედეგად, შევძელით და გადავერთეთ მხოლოდ მწლიარე და მძიმე კატეგორიაში მყოფ ხანდაზმულთა მომ-სახურებაზე, და მომვლელების გადასასყვანად, მოგვინია, სტრანსპორტო კომპანიების – ტაქსების მომსახურებაზე გადასვლა.

გვაქვს 2 სახის გამოწვევა:

1. ტაქსების ნაკლებობა ჩვენთვის საჭირო დროს, გაზრდილი მოთხოვნისპირობებში, რომ-ლებიც გადაარციხვის გზით, ანგარიშსწორებით მუშაობენ.
2. ძალიან დიდი დაუგეგმავი ხარჯი. არ ვიცით,

როდის შევძლებთ მის გადახდას, ან არსებული დონორებისგან მის ანაზღაურებას. ჩვენ ყველა გზით ვცდილობთ ხარჯების შემცირებას, თუმცა, დღიური ხარჯი დღეის მდგომარეობით შეადგენს 586 ლარს.

მინდა გთხოვოთ თანადგომა!

ვარიანტი №1. დაგვეხმაროთ ფინანსურდ, ტაქსის მომსახურების გადახდაში და ჩარიცხვით თანხა ლარში ან დოლარში ქვემოთ წარმოდგენილ ანგარიშებზე. დანიშნულებაში გთხოვთ ჩანწერთ სიტყვა „შემონირულობა“ ან „დონატორი“.

ვარიანტი №2. თუ ხართ 50 წლამდე - ჯანმრთე-ლი, ფლობთ ავტომობილს საწვავავით, თავი-სუფალ დროს და გაქვთ დახმარების სურვილი, მოგვეხმარეთ მომვლელების თქვენი კუთვნილი ავტომობილებით გადაყვანაში. ჩვენი თანამშრომ-ელი ჩაინერს თქვენს საკონტაქტო მონაცემებს, და ჩაინიშნავს, თუ როდის შეგიძლიათ დაგვეხმაროთ და რამდენ დროს დაუთმობთ მომვლელთა გადაყ-ვანას.

მოხალისეების ჩანწერა მოხდება სამუშაო დღეებში ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით დილის 10:00 დან 15:00 საათამდე, ხოლო მომვლელის გა-დაყვანა მომდევნო დღეს.

ჩანწერილ მოხალისეებთან დაკავშირება მგზა-ვრების და მისამართების გადასაცემად, მოხდება მიმდინარე დღის 18:00 საათიდან 20:00 საათამდე.

3. ასევე გვესაჭიროება მოხალისეები თბილი-სი ხესედის აღრიცხვებზე მყოფთათვის მაცის მისამართზე გადასაცემად, მარტოხელებისთვის, ვისი სახლიდან გამოსვლა პრობლემურია ან შეუ-ძლებელი.

4. გვესაჭიროება მოხალისეები, ვინც მარ-ტოხელა ხანდაზმულებს მიეშველება პროდუქტის შექენა - ტრანსპორტირებაში.

დახმარების მსურველებმა ნებისმიერი დე-ტალის გასარკვევად ზემოთხსენებულ თემებზე თბილისის რეგიონთან დაკავშირებით, გთხოვთ

დარეკოთ ნომერზე: 595760619 ირაკლი გიორგაძე.

ებრაელთა საქვემოქმედო ცენტრი „ხესედ ელია-აჰუ“ რომელიც ემსახურება თბილისს, რუსთავს და კახეთის რეგიონს;

GE09PC0133600100064378 (GEL)

GE59PC0133600100036609 (USD)

ქუთაისი, „ხესედ აბული“, ემსახურება ზემოთხ-სენებული რეგიონების გარდა, დანარჩენი საქა-რთველოს ტერიტორიაზე.

GE02PC0013600100030540 (GEL)

GE49PC0013600100045990 (USD)

საკონტაქტოპირები:
ქ.გორი – მალალაშვილი თეონა - 558119991
ქ. ქუთაისი – ზაზა ფინაძე - 597171550
ქ.ფოთი - მარინა გვალია - 599222859
ქ.ბათუმი – ქრისტინა აივაზიანი-ტატევეოსიანი - 597171550

ახლა ის დროა, როცა თანადგომა განსაკუთრებ-ულად მნიშვნელოვანია!

გთხოვთ გაავრცელოთ ეს წერილი სადაც ხელი მიგიწვდებათ.

დიდ მადლობას გადაგიხდით ყველას წინასწარ!
ღმერთი იყოს სრულიად სამყაროს მფარველი!
საუკეთესო სურვილებით!

პატივისცემით,

ზოჰარ დავიდი

„ჯონთის“ წარმომადგენელი
საქართველოსა და კავკასიის ქვეყნებში
02.04.20

ბ-ნო ზოარ,
დიდებული აქციაა. „ისრაელის სახლი“ უერთ-დება და მხარს უჭერს ჯონთის აქციას.
დეტალები შევათანხმეთ .

**პატივისცემით,
იციკ მოშე**

Зохару Шалом,
Надеюсь, с сообществом все в порядке.
Мы отправили деньги, чтобы помочь счёту от направления письма.
Кроме того, я хотел бы обеспечить 18 семей масками и едой.
Мы кормим пищу, мы берем водителя и поставляем их прямо в свои дома.
Я был бы рад получить список по почте (адрес и телефон) из "Бейт Исраэль" председатель info@israelhouse.net
Удачи

Ицик Моше

დიდი მადლობა იციკ!
ღმერთი შეგეწიოთ ყველა კეთილ საქმეში!
შევაჯერებ 18 ოჯახს, ვისაც ჩვენი ინფორმა-ციით ყველაზე მეტად სჭირდებ ათანადგომა და შეგეხმიანებით,

პატივისცემით, ზურა

ძვირფასო მეგობრებო, სალამო მშვიდობისა!
მინდა დღევანდელი დღის სასიხარულო ამბები გაგიზიაროთ,
თანხები ირიცხება. ზუსტ თანხას ვერ და-გისახელებთ, მაგრამ ჯამურად რომ 3000 ლარს გადააჭარბა, მინდა ყველას გახაროთ! მოხალი-სეების სია იზრდება და ერთი მოხალისე დღეს უკვე ჩაერთო და რამდენიმე მომვლელის გა-დაყვანაც შეასრულა. მივიღეთ ტრანსპორტის არაერთი შემოთავაზება და მიმდინარეობს მათი მარშრუტების განსაზღვრა. ასევე მოხდა 18 ოჯახ-ის სიის შედგენა თბილისის ხესედის და დიდი სინაგოგის ინფორმაციების შეჯერების შედეგად და უახლოეს დღეებში იგეგმება მათზე საკვები პროდუქტების და სამედიცინო ნიღბების გადაცე-მა.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მად-ლობა გადაგიხადოთ მხარდაჭერისთვის ყველას, ვინც გულთან ახლოს მიიტანა რთული ვითარება-ში მყოფ ხანდაზმულთა გასაჭირი და ნებისმიერი გზით გადანყვიტა საკუთარი წვლილი შეიტანოს

ვითარების შემსუბუქებაში. დღეს მხოლოდ პირვე-ლი დღე იწურება და მე დიდი იმედით ვუყურებ ხვალინდელ დღეს.

დიდი მადლობა და ღამე მშვიდობისა ყველას!
პატივისცემით, ზურა

ზოჰარ,
დღეს, შაბათის შემოსვლამდე, 18 ოჯახი (თბილისი+რუსთავი) მიიღებს დახმარებას.
ვინაიდან პანდემია გრძელდება, „ისრაელის სახლი“ ფესახის შემდეგ ამ ოჯახებს კიდევ დაეხ-მარება.
შაბათ შალომ!

იციკ მოშე

ღმერთმა გაგაძლიეროთ, იციკ!!!
დიდი მადლობა!!!!

პატივისცემით, ზურა

მეგობრებო, მოგესალმებით,
ჩვენი საერთო გასაჭირის გარშემო გაერ-თიანების მეორე დღე იწურება და მინდა დღევან-დელი მონაგარი გაგაცნოთ: დღეს 2 მოხალისეს მიერ მოხდა მომვლელების გადაყვანა, დარიგდა საკვები ნაკრებები და დამცავი ნიღბების უდიდესი ნაწილი. კვირას მათაც მიენოდებათ, ვისთანაც დღეს, დაკავშირება სამწუხაროდ, ვერმოხერხდა.

დღეს ასევე მოხალისეს მიერ ხესედში აღ-რიცხვებზე მყოფთა საცხოვრებელ მისამართებზე დარიგდა 16 კილო მაცა, და კვირას და ორშაბათს დილიდან სალამომდე დაგეგმილია უსასყიდლოდ გამოცემული მანქანით, მძღოლით და საწვავით 2 სხვა მოხალისე მგზავრითურთ დარიგდეს გეგმით 100 კილოზე მეტ მაცა მისამართებზე. მათ გარდა, კიდევ 2 ეკიპაჟი შემპირდა მაცის დარიგების პრო-ცესში ჩართვას. გვყავს ჩანიშნული ერთი მოხალ-ისე ორშაბათს მომვლელების გადაყვანაზე და იმე-დია, კვირას კიდევ დაემატება ვინმე.

დღეს, ჩემი თქვენდამი მონერილი წერილის გაზეუ „მენორაში“ გამოქვეყნება შემოთავაზეს და დავთანხმდი, გაზეთის მეშვეობით მეტი ადა-მიანი გაიგებს ჩვენს საერთო სატკივარს და უფრო გავძლიერდებით. შემონირულობის თანხების ბა-ლანსი: დღეს შემიძლია ზუსტი რიცხვები მოგახ-სენოთ: თბილისის „ხესედის“ ანგარიშზე ჯამურად 3080 ლარი და 100 აშშ დოლარი ირიცხება, ხოლო ქუთაისში 250 ლარი და 100 აშშ დოლარია. უკვე. ეს თანხები და მოხალისეების ჩართულობა გვაძლევს

დაახლოებით 10 დღის მუშაობის საშუალებას და იმედია, შემონირულება არ შენელებს. გასული დღეები იძლევა უკეთესობის რწმენის საფუძველს. დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ყვე-ლას თქვენი წვლილისათვის. რასაკვირველია, თითოეული დახარჯული თეთრის დეტალური ან-გარიში შემომწირველებს მიენოდებათ.

„მენორას“ რედაქციას: გავეცანი და ვეთანხ-მები წარმოდგენილი რედაქციით გამოქვეყნებას, მადლობა დიდი!
შაბათ შალომ!

პატივისცემით ზურა

ზოჰარ, შალომ,
მაცნობე 10 ოჯახის მისამართი, გავუგზავნი სახლში საფესახო პროდუქტს.

მენახემ ელაზარი

რედაქციისაგან: საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრები „ხესედ ელიაჰუ“ და „ხესედ აბული“ კარგა ხანია კეთილსინდის-იერად ემსახურებიან ჩვენი რეგიონის ხელ-მოკლეთ, ავადმყოფებსა და მოხუცებს. მოსახლეობა მათდამი მაღლიერებას სისტე-მატურად გამოხატავს — „ჯონთი“ კარგად უძღვება ამ საქმეს, მაგრამ ამ დღეებში — 2 აპრილს — კორონავირუსთან ბრძოლის გა-ძლიერების მიზნით, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება და სამედიცინო პერსონალი ერ-თობ მედგრად დაუხვდა (ამას საერთაშორისო თანამეგობრობა ხშირად აღნიშნავს) აიკრძალა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა — გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ ფეხით და ტაქსით. ეს უკანასკნელი კი ძვირი სიამოვნე-ბა და გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი ხარჯია. სწორედ ამან გააკეთებინა წინამდე-ბარე მიმართვა ჯონთის წარმომადგენლობის მეთაურს ზოჰარ დავიდს, იგივე ზურაბ დავი-თან ჯონთისა და ებრაული თემის ღირსეულ წევრთა (ისინი კიდევ ერთხელ ამტკიცებენ: ქართველი ებრაელობს ურთიერთთანადგომის ტრადიცია გრძელდება) ბრძოლის ქრონიკას, გამოვთქვამთ რწმენას: საქართველოს ებრა-ელობის ბედით დაინტერესებული ადამიანები გუულგრილი არ დარჩებიან და საკითხს გამოეხ-მაურებიან.

რას ვპიტიხ ულობთ ამ კვირაში? რაბინის კუთხე



ავიმელეს როზენბლათი

ფესახის ძირითადი კანონები

ჩვენს სახლებში. ასევე ამ დროიდან იწყება ხამეცის მირთმევის აკრძალვა, როგორც ნათქვამია (დვარი 16:3): „ნუ მიირთმევთ მასთან (ფესახთან, ანუ საფესახო მსხვერპლთან) გაფუებულს“. ანუ, იმ დროიდან, როდესაც საფესახო მსხვერპლის მიტანა უკვე შესაძლებელია. ხოლო საფესახო მსხვერპლის მიტანის დრო 14 ნისანის შუადღიდან (ხაცოთ ჰაიომ) იწყება. აქედან გამომდინარე, 14 ნისანის შუადღიდან აკრძალულია ხამეცის მირთმევა. და, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ამ აკრძალვაში ასევე შედის ხამეცისაგან სიამოვნების მიღება. მაგრამ, იმისათვის, რომ ადამიანები დარღვევისაგან იხსნან, ბრძენებმა დაამატეს და ხამეცისგან სიამოვნების მიღებას კიდევ ერთი საათი დაამატეს, ხოლო საკვების მიღებას - 2 საათი, ანუ ხამეცისაგან სიამოვნების მიღება შუადღემდე ერთი საათით ადრე (ამ ნელს 11:39სთ), ხოლო მირთმევა ორი საათით ადრე (ამ ნელს 10:15სთ) წყდება. დროები ყოველ ნელს იცვლება და შემდეგნაირად გამოითვლება: დღის ნათელი პერიოდი თორმეტზე იყოფა და ყოველი ნაწილი დროებით საათად იწოდება. ყოველ ნელიდან ეს დროები კალენდრებშია მოცემული. ანუ შუადღემდე მეხუთე საათის ბოლომდე ჩვენ კიდევ შეგვიძლია მაგალითად, ხამეცი ცხოველებს ვაჭამოთ ან არაებრაელს მივყიდოთ, ხოლო მეექვსე საათის დაწყებისთანავე ბრძენი გვიკრძალავენ ხამეცისაგან სიამოვნების მიღებას. მეექვსე დროებითი საათის დაწყებისთანავე კი ძალაში შედის თორის აკრძალვა ხამეცის მირთმევა და მისგან სიამოვნების მიღებაზე. და მთელი იმ დროის მანძილზე, მანამ ადამიანი არ ანადგურებს ხამეცს, არ ასრულებს ბრძანებით მცნებას ხამეცის განადგურებაზე. დღესასწაულის დაწყებისთანავე კი კიდევ ორი აკრძალვა ემატება: „არ ჩანდეს“ და „არ იყოს (ჩვენს მფლობელობაში)“.

ჩამის შემდეგ - „ბირქათ ჰამაზონ“. ხამეცი ჩვეულებრივი გაფუების შედეგია, როდესაც გაფუება ხდება ცომის უმოძრაოდ დატოვების შედეგად, ხოლო თუ გაფუების პროცესის გაუმჯობესება გვსურს, ვუმატებთ სეორს. ის მიიღება იმ შემთხვევაში, თუ ცომს ისე დიდხანს ვტოვებთ უმოძრაოდ, რომ ის ძალიან ფუვდება და საკვებად აღარ გამოდგება. ანუ ხამეცი საკვებია, ხოლო სეორი ასეთი საკვების მომზადებისათვის საჭირო დამამარე პროდუქტი.

მთელი იმ დროის მანძილზე, სანამ ცომი მოძრაობაშია, ის არ ფუვდება მაშინაც კი თუ ამას დიდხანს ვაკეთებთ. მაგრამ მიღებულია გამკაცრება და მოზელვის პროცესის შემცირება 18 წუთამდე. თუ 18 წუთის მანძილზე ცომი უმოძრაოდ იყო, იქნება - ხამეცი. ეს ჩვეულებრივ პირობებში, ხოლო თუ ტემპერატურა იმ ადგილზე, სადაც ცომია, მაღალია - ის უფრო ადრე გაფუვდება. თუ ცომში ბზარები ჩანს, მაშინაც კი თუ 18 წუთი არ გასულა, გაფუება დაწყებულია. 18 წუთამდე მოძრაობაში მყოფი ცომი ცხვება და ვლებულობთ მაცას.

ხამეცი აკრძალულია მაშინ, თუ გაფუების პროცესი დასრულებულია. თუ ეს პროცესი დაიწყო, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო შეჩერდა, თორა მისი მირთმევას არ კრძალავს, მაგრამ ამის გაკეთება აკრძალეს ბრძენებმა. ასეთ ხამეცს „ხამეც ნუკშე“ ჰქვია. ასეთ ხამეცს მიეკუთვნება მაგალითად ნებო და ფესახში მისი ჩვენს მფლობელობაში დატოვება ბრძენებმა აკრძალეს.

დაობებული ხამეცი სეორის სტატუსს ინარჩუნებს, რადგან კიდევ შეიძლება მისი გამოყენება ცომის გასაფუებლად. მაგრამ თუ ხამეცი ისე გაფუქდა, რომ ძალღებაც აღარ მიირთმევენ, თორის მიხედვით, აღარაა ხამეცი, მაგრამ მისი სახლში დატოვება ბრძენებმა აკრძალეს.

4. ხამეცის განადგურებასთან დაკავშირებული მცნებები

ნიგში „შმოთ“ ნათქვამია: „ და ნუ იქნება ხილული შენთან გაფუებული და ნუ იქნება ხილული შენთან საფუარი შენს ყველა საზღვარში.“ ეს კი გვასწავლის, რომ ებრაელი არ არღვევს აკრძალვას, თუ მის მფლობელობაში არაებრაელის ან არავისთვის განკუთვნილი (ანულირებული, ებრაულად — ევკერ) ხამეცია. ხამეცს ორი გზით ვანადგურებთ - ქმედებით და აზრობრივად. აზრობრივი განადგურება ხამეცის ანულირებით (ბიტულ ხამეც) ხდება, მასზე უარის თქმით (მას ვაქცევთ უპატრონოდ) და ვუთანაბრებთ მას ფერფლს. რადგანაც ასეთი ხამეცი ჩვენ არ გვეკუთვნის, ჩვენთვის აღარაა მნიშვნელოვანი. დამატებით ხამეცს ფიზიკურადაც ვანადგურებთ. 14 ნისანის ღამეს ვამონშებთ მთელს ჩვენს მფლობელოს (ბინას, მანქანას, გარაჟს, სანარმოს, აგარაკს და ა.შ.) ხამეცის შემორჩა, თუ არა, იქ ხამეცი, ხოლო 14 ნისანის დღეს ვანადგურებთ (ბიურ ხამეც). მიუხედავად იმისა, რომ თორის მიხედვით საკმარისია ან ბიტულ ან ბიურ, ბრძენებმა მეტი სიმყარისთვის დაგვიწესეს ორივე გზით ხამეცისაგან განთავისუფლება: სიტყვიერი ანულირებით და ქმედებით განადგურებით. პროცესში ოთხი ეტაპია: შემონშება, ანულირება, განადგურება, ანულირება. თავიდან სახლს ვამონშებთ ხამეცის არსებობაზე. შემდეგ მაშინვე ვაკეთებთ მის ანულირებას, ანუ აზრობრივად ვანადგურებთ. მეორე დღით ვანადგურებთ ფიზიკურად და მეორედ ვაკეთებთ ბიტულ ხამეცს, ანუ ანულირებას.

ფესახის პირველ და მეორე ღამეს ვასრულებთ ასევე ორ უმნიშვნელოვანეს მცნებას: ესაა მაცის მირთმევისა და ეგვიპტიდან გამოსვლის შესახებ ისტორიის - „აგადის“ კითხვის მცნებები. აგადის მსვლელობისას თხუთმეტი ცნება მოიხსენიება და ისინი შეესაბამებიან განთავისუფლების თხუთმეტ საფეხურს. ესენია კიდუში, ხელის განბანვა, კარპასი, მაცის გატეხვა, თხრობა, ხელის განბანვა, მოცი, მაცა, მარორ, კორეხ, შულხან ორეხ (გაშლილი მაცი), საიდუმლო (აფიკომანი), კურთხევა (ბირქათ ჰამაზონი), ჰალელი, დასრულება.

ნისანის თვე მონობიდან განთავისუფლების თვეა და ვისურვებდი, რომ მალე განთავისუფლებულიყავით ყოველგვარი გასაჭირისგან. გისურვებთ ქაშერ და მხიარულ ფესახს, ამ ნელს აქ, მომავალ ნელს — ისრაელის მიწაზე.



1. ხამეცის აკრძალვის საერთო კანონები თორაში ფესახში ხამეცის თაობაზე ოთხი მცნებაა: სამი ამკრძალავი და ერთი - ბრძანებითი ხასიათის. პირველი მცნებაა - ხამეცის მირთმევის აკრძალვა. ნათქვამია თორის ნიგში „შმოთ“ (13:3) - „...და არ უნდა იჭამოს გაფუებული“. და გვასწავლიან ბრძენები, რომ ამ აკრძალვაში ასევე შედის ხამეცისაგან სიამოვნების მიღების აკრძალვა. ასევე ნათქვამია „შმოთში“ (12:20) - „არანაირი გაფუებული (ანუ გაფუებული შემცველი) არ მიირთვათ; თქვენს ყველა საცხოვრისში მიირთვით მაცა“. აქედან ვსწავლობთ, რომ არ მხოლოდ ის არ უნდა მიირთვათ, რაც თავად გაფუვდა, არამედ ისიც, რაც ფესახში აკრძალულის მეშვეობით გაფუვდა. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თორამ დამატებით დამატებდა ხამეცის (გაფუებულის) აკრძალვას. თუ ჩვეულებრივ, აკრძალული საკვების მირთმევისას, თორის მიხედვით, დამრღვევი უნდა გაროზგონ, ხამეცის შემთხვევაში - დასჯა არის ქარეთი (სულის მოკვეთა). როგორც ნათქვამია „შმოთ“ (12:15): „...რადგანაც ყოველი, ვინც მიირთმევს გაფუებულს, განადგურებული (მოკვეთილ) იქნება ის სული ისრაელიდან (ვინც მიირთმევს გაფუებულს) პირველი დღიდან მეშვიდე დღემდე“ (ისრაელის საზღვრებს გარეთ მერვე დღემდე). მეორე აკრძალვა თორიდან : ჩვენს სამფლობელოში ხამეცი არ უნდა იყოს, როგორც ნათქვამია: (შმოთ 12:19) - „შვიდი დღე საფუარი (სეორ - ებრაულად) არ უნდა იყოს თქვენს სახლებში. ოპარა გადამჟავებული ხამეცია, რომელიც ადამიანის საკებად აღარ გამოდგება და გამოიყენება ცომის გაფუების დამაჩქარებლად. ეს აკრძალვა ეხება არა მარტო სეორს, არამედ - ხამეცსაც. მესამე აკრძალვა (შმოთ 13:7) - „მაცა უნდა იჭამოს შვიდი დღის (ისრაელის გარეთ - რვა დღის) მანძილზე და არ ჩანდეს გაფუებული შენთან და არ ჩანდეს ოპარა შენთან შენს ყველა ტერიტორიაზე“. უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანი არღვევს აკრძალვებს „არ ჩანდეს“ და „არ უნდა იყოს“ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ადამიანის მფლობელობაში იქნებიან კაზაიტი (27 გრ - ზეთის ხილის ზომა). ამაზე ნაკლები ზომის ხამეცის არსებობის შემთხვევაში, არ ვარღვევთ აკრძალვებს. მეოთხე მცნება ბრძანებითია: უნდა გავანადგუროთ ხამეცი და სეორი ფესახის ნინ, როგორც ნათქვამია (შმოთ 12:15) - „შვიდი დღე მაცა მიირთვით (ისრაელის გარეთ რვა დღე); მაგრამ იმ პირველ დღეს (ანუ დაწყებამდე) მოაშორეთ ოპარა თქვენი სახლებიდან“.

2. ხამეცის აკრძალვის დასაწყისი თორიდან და ბრძენებისაგან მიუხედავად იმისა, რომ ხამეცის აკრძალვა ფესახის დღესასწაულის შვიდ (დიასპორაში 8) დღეზე მოდის, ანუ 15 ნისანიდან 21 (დიასპორაში 22) ნისანის ჩათვლით, 14 ნისანის შუადღიდან (ხაცოთ ჰაიომ - ებრაულად) გვამცნეს გავანადგუროთ ხამეცი

ასევე მკაცრდება ხამეცის მირთმევის აკრძალვა, რადგანაც თუ ადამიანი ხამეცი 14 ნისანის შუადღის შემდეგ მიირთვა, თორის მიხედვით, მას როზგავენ, ხოლო დღესასწაულის დაწყების შემდეგ მას ქარეთით დასჯიან.

არის კიდევ ერთი კითხვა: თუ ადამიანი ისრაელშია, ხოლო მისი ხამეცი - ამერიკაში, როდის უნდა გაყიდოს თავისი ხამეცი? იმ ადგილის მეხუთე საათის ბოლომდე, სადაც იმყოფება, თუ - სადაც ხამეცია (მოცემულ სიტუაციაში ეს იქნება ისრაელის დროიდან დაახლოებით 7 საათით გვიან). უმრავლესობის აზრით ადამიანის ადგილსამყოფელის მიხედვით ვმოქმედებთ, მაგრამ თავდაპირველად ხამეცი უფრო ადრე დროის მიხედვით უნდა გავანადგუროთ.

ფესახის გასვლის შემდეგ შეიძლება ხამეცის გამოყენება. მაგრამ ბრძენებმა აკრძალეს იმ ხამეცის გამოყენება, რომელიც ებრაელის სამყოფელში იყო ფესახის დღესასწაულზე, რადგანაც მან დაარღვია თორის აკრძალვა. არაებრაელის ხამეცი, რომელიც მისივე მფლობელობაში იყო, შეიძლება შეიძინოს ებრაელმა ფესახის დღესასწაულის გასვლის შემდეგ.

3. რა არის ხამეცი და სეორი ფესახში საკვებად აკრძალული ხამეცი, რომელზეც თორა გვეუბნება, მარცვლეულის ის ხუთი სახეობაა, რომლებიც წყალთან შეურიეს და გაფუვდა. ესენია: ხორბალი, შვრია, ჭვავი, ქერი და პოლბა. ეს ის ხუთი მაცვლეულია, რომელთაგანაც აკეთებენ პურს, კვების ყველაზე მნიშვნელოვან პროდუქტს, რომელზეც მირთმევამდე დაწესებულია კურთხევა „ჰამოცი ლეხემ მინ ჰარეც“ და

*რაბი ელიაჰუ მელამედის სტატიის მიხედვით.

კოკი სეფიაშვილის ხსოვნას

ნუთისოფელს ნიუ-იორკში გაეცალა და ისრაელის წმინდა მიწას მიაბარეს, მე-20 საუკუნის საქართველოს ებრაელობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი კოკი სეფიაშვილი.

ბ-ნი კოკისთან მქონია დაუვიწყარი შეხვედრები — საუბრები საქართველოზე, თბილისის ებრაელობაზე, იმაზე, თუ როგორი იყო და როგორია დღეს თბილისის ჯამაათი. მე მისი წარსული მაინტერესებდა, მიზიდავდა თუ როგორი იყო, რა ღირებულებებით საზრდობდა მისი თაობის ქუთაისის, თბილისის ჯამაათი. ისიც მიაბოძდა. ამ საუბრებიდან ჩვენი თემის ცხოვრების წესის გამო, ყოველთვის სიამაყის გრძნობა მომდევდა. ამ გრძნობას მგვრიდა რეალურად დანახული და შეფასებული ყოფა ჩვენი მამებისა, ბაბუებისა.

არაერთხელ მითქვამს და დამინერია კიდევ: ან უკვე ჩავლილი საუკუნის 80-იან წლებში — რუსეთის ებრაელთა კონგრესის შექმნის წინ, ჩემმა მოსკოველმა მეგობარმა — პროფესორმა მიხ. ჩლენოვმა გამოსცა წიგნი რუსეთის ებრაელობაზე. მიხ. ჩლენოვს ამ წიგნში მოაქვს ცნობები, ციფრები იმის თაობაზე, მე-20 საუკ. მეორე ნახევარში — საბჭოების ზეობისას — საქართველოს ებრაელობა როგორ ირჯებოდა სულიერებისათვის: რუსეთის ბეით ქნესეთების ნახევარს საქართველოს ებრაელობა აფინანსებდა, ამავე ადამიანების — ქართველი ებრაელობის, დაფინანსებით — არსებობდა, მოსკოვის დიდი ბეით ქნესეთი და იეშივაო.

ჩვენი მამების, ბაბუების რელიგიური მრწამსი და მოძმისადმი მხარდაჭერის სულისკვეთება, იმდენად ძლიერი გახლდათ, თავთავიანთი ოჯახებს აკლავდნენ და არჩევდნენ მათი ფიზიკური, თუ ინტელექტუალური გარჯით მოპოვებული, ადამიანებში სულიერების გაძლიერებას, რწმენის განმტკიცებას მოხმარებოდა. ჭეშმარიტების გვერდის ავლა იქნებოდა იმის თქმა, რომ საქართველოს ებრაელობა ფუფუნებაში ცხოვრობდა. სრულიადაც არა — ცხოვრობდა ისე, როგორც



მთელი ქვეყანა, იქნებ, უფრო მოკრძალებულადაც კი. შესაძლოა, ზოგიერთ — ძალიან მცირე გამოწვევის, სხვაზე მეტი შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ ვიცი, ეს „მეტიც“ მოკრძალებული გახლდათ. ასე რომ, მათს სულისკვეთებას წარმართავდა არა სიმდიდრე, იმის გამოისობით კი არ ენეოდნენ ბეით ქნესეთებისა და რელიგიური სასწავლებლების დაფინანსებას, რომ მოჭარბებულად ჰქონდათ, არა, მათს სულებში ერთი ღმერთის რწმენა გახლდათ წარმართველი და მთავარი. მცნებებისადმი ურყევი ერთგულება და მონივნება კარნახობდათ შორეული მოძმეებისათვის ლუკმა გაეყოთ. კოკი სეფიაშვილი ამ წესით მცხოვრებ ქართველ ებრაელთა ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო — ერთ-ერთი წევრი იმ კურთხეული ჯამაათისა, რომელიც ჩვენს ჯამაათს ამშვენებდა. ჩემი სტუდენტობისა და მომდევნო ათწლეულების ცოცხალი

სურათია: თბილისის დიდი ბეით ქნესეთში შესულს კეთილი ზნის, აზრისა და სხივის ადამიანთა გამომეტყველება — მათს მზერაში დაუნჯებული სიკეთე და სიბრძნე მხიბლავდა.

ბ-ნი კოკი ან გარდასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა თემს ამშვენებდა. ხშირად მინახავს და ახლაც თვალწინ მიდგას ეს მაღალი, გამჭოლი მზერის, თითქოს მუდამ მომღიმარი კაცი ნიუ-იორკის (ქვინსის) ბეით ქნესეთში. საინტერესო მოუბარი გახლდათ, უფრო კი — მსმენელი. მოსაუბრეს ყურადღებით უსმენდა. ისე შესცქეროდა, თითქოს მის სულში თვალის მოვლებას ლამობდა. თბილისის ებრაელობის ცხოვრებას კითხულობდა, დაწვრილებით გამოკითხავდა, მერე კონკრეტულ პიროვნებებს მოიკითხავდა: რამინ იაკობაშვილს, ილიკო მოშიაშვილს, რეზო არონაშვილს, ალბერტ პარლაგაშვილს („ჭინკა ალბერტა“), იოსებ იზრაელაშვილს, ბესო მიხელაშვილს, ალბერტ იაკობაშვილს, რაფო ჩაჩანაშვილს. გაგონილს, მოსმენილს ორიოდ ფრაზით შეაფასებდა.

ძალიან მსიამოვნებდა ის, რაც არაერთხელ უთქვამს: „დედაჩემი ბათიაშვილის ქალი იყო — ბედნიერი გვარი!“

დღეს, როცა ბ-ნმა კოკიმ სხვა განზომილებაში გადაინაცვლა და მასთან შეხვედრებს ვაველებ მზერას, არ მაგონდება ვინმეზე აუცილ ეთქვას. არადა, საკმაოდ ხნისა გახლდათ — ცხრა ათეული გადააბიჯა. რამდენ ადამიანს შეხვედრია — როგორ პიროვნებებთან არ ჰქონია ურთიერთობა. ცხადია, ყველა პატიოსნებითა და ზრდილობით აღვსილი ვერ იქნებოდა, მაგრამ მისგან ადამიანზე ნათქვამი აუცილ არ მომისმენია...

კარგად იცხოვრა — თავის ღმერთს ერთგულებდა, მსახურებდა. ნავიდა ღირსებით აღვსილი და ცხოვრებით გამაძლარი კაცი. სწორედ ისეთი პიროვნება გახლდათ, რომელზეც უთქვამთ: აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგეს!

თითქმის დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება — ნათელში მოექცევა!

გურამ ბათიაშვილი

კიბო გადაფხიკეს?

იანვრის დასასრულს ისრაელის ბეილისონის საავადმყოფოში უნიკალური ოპერაცია ჩაატარეს — ექიმებმა ადამიანს ამოაცალეს კიბოს სიმსივნით დაზიანებული ფილტვი, ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედებისაგან გაასუფთავეს — კიბოსგან განმინდეს და კვლავ სხეულში ჩააბრუნეს.

მკურნალობის ასეთი — პრინციპულად ახალი მეთოდი ავადმყოფს ანთავისუფლებს ფილტვის ტრანსპლანტაციისა და ქიმიო-რადიო თერაპიისაგან.

ეს პროცედურა პირველმა გაიარა 40 წლის ისრაელელმა მამაკაცმა, რომელსაც მარცხენა ფილტვის კიბო ჰქონდა. სიმსივნე ისე გახლდათ მოდებული, რომ მთავარ ბრონქს მთლიანად ფარავდა, რის გამოც ფილტვი ნორმალურად ვერ ფუნქციონირებდა.

კიბოს სიმსივნის სხეულის მიღმა მოსპობა, ინოვაციური მეთოდიკაა. ამ გამოცდილების პრაქტიკული გამოყენება ერთობ შეზღუდულია — მსოფლიოში ანალოგიური სულ რამდენიმე ოპერაცია ჩატარდა და მიუხედავად იმისა, რომ შედეგი დადებითი აღმოჩნდა, ისრაელელ ქირურგებს გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ძალიან დიდ რისკს ეწევიან.

ოპერაციის წარმატებულად გასრულება იმის იმედს იძლევა, რომ ეს მეთოდი მომავალში სხვა

სახის სიმსივნურ დაავადებებზეც იქნება გამოყენებული.

60 მილიონი ქველმოქმედებას

გამოჩენილმა მსახიობმა კირკ დუგლასმა, რომელიც თებერვალში 103 წლის ასაკში გარდაიცვალა, თუ რამ ქონება გააჩნდა, ქველმოქმედებისათვის გაიმეტა — ეს „თუ რამ გააჩნდა“ კი არც მეტი არც ნაკლები, 60 მილიონი დოლარის ქონება გახლავთ. შეილს, ასევე გამოჩენილ მსახიობს მაიკლ დუგლასს არაფერი არ უნილადა — თავისიც საკმარისად აქვს — მისი ქონება 300 მილიონ დოლარს აღწევს. ამასთან დაკავშირებით 75 წლის მაიკლ დუგლასმა განაცხადა:

— კირკმა ცხოვრება კარგად გაატარა. მომავალ თაობებს დიდებული კინომემკვიდრეობა დაუტოვა, ისტორიაში შევა როგორც კარგი ფილანტროფი, ადამიანების დახმარებისათვის იღწვოდა, ენადა დედამიწაზე მშვიდობა დამკვიდრებულიყო. ბოლო დაბადების დღეზე მე მას ვუთხარი: „მამა, ძალიან მიყვარხარ და ვამაყობ იმით, რომ შენი შეილი ვარ“.

კირკ დუგლასმა, ანდერძის მიხედვით, მთელი მემკვიდრეობა ლოს ანჯელესის ბავშვთა საავადმყოფოს, სინაის ტაძარს და წმინდა ლავრენტის სახ. უნივერსიტეტს დაუტოვა.

კირკ დუგლასი რუსეთიდან აშშ-ში ახლადემიგრირებული, ერთობ ხელმოკლე ებრაულ ოჯახში

დაიბადა. იგი იგონებდა:

— ლუკმაპური გვიჭირდა, ხშირად გვშოიდა, მაგრამ კარზე მათხოვარი თუ მოგვიკაკუნებდა, დედა ხელცარიელს არ გაუშვებდა — უსათუოდ გაატანდა რაიმეს. დედას ხშირად უთქვამს, რომ საჭიროა სხვა ადამიანებზე ზრუნვა.

მხედველობაში ვიღებ რა, თორის მცნებას ...

ბრიტანეთის მთავარმა რაბინმა ეფრაიმ მარვისმა 17 მარტს, საღამო ხანს გამოაცხადა, რომ კორონავირუსის პანდემიის გამო ბეით ქნესეთთა გაერთიანება იხურება და წყვეტს ღვთისმსახურებას:

— მთავრობის სახელმძღვანელო მითითებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ნებისმიერი სახის ქმედება და მათს შორის, რელიგიური თემებისა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის სერიოზულ საფრთხეს შეიცავს და ხელს შეუწყობს კორონავირუსის გავრცელების დაჩქარებას. მხედველობაში ვიღებ რა თორის მცნებას იმის თაობაზე, რომ სიცოცხლის დაცვა ყველა სხვა მცნებაზე უფრო მნიშვნელოვანია, დიდი გულისტკივილით, დამძიმებული განცდით, ლონდონისა და მანჩესტერის რაბინებთან კონსულტაციის შედეგად, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჰალახის მიხედვით, გვაქვს იმპერატივი ახალ შეტყობინებამდე ყველა ბეით ქნესეთში შევაჩეროთ ღვთისმსახურება.

შეცდომის გასწორება

„მენორას“ წინა, მე-3-ე ნომერში, გაიპარა შეცდომა, რის გამოც რედაქცია მკითხველსა და ავტორს ბოდიშს მოახსენებს: მე-3-ე გვერდზე მოთავსებული მასალა „ერთი პუბლიკაციის კვალდაკვალ“ ეკუთვნის მერაბ ჩანჩალაშვილს — თბილისის დიდი ბეით ქნესეთის გაბაის.

ეკა და ზაზა დავარაშვილები გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას ძვირფასი მამისა და სიმამრის —

თამარ პაპისმელოვის გარდაცვალების გამო.

მალხაზ ბათიაშვილი, ნანა, ლინა, გია, ირაკლი დავარაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ საყვარელ რძალს — ეკა პაპისმელოვა-დავარაშვილისას და ქ-ნ ლია მეგრელიშვილ — პაპისმელოვისას ძვირფასი მამისა და მეუღლის —

თამარ პაპისმელოვის გარდაცვალების გამო.



საქართველოს მს. სახელმწიფო: 299.90.96



საქართველოს მს. სახელმწიფო: 299.90.96

ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557 9771987898003